ო ქ მ ი N7

ხობის მუნიციპალიტეტის მეხუთე მოწვევის საკრებულოს ბიუროს სხდომისა

ქ. ხობი **2024 წლის 26 ივნისი**

ბიუროს წევრთა კანონით დადგენილი რაოდენობა - 11

ბიუროს უფლებამოსილ წევრთა რაოდენობა - 8

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები:

1. მამუკა ქარდავა
2. ნუგზარ შუმანია
3. ლევანი ლიპარტია
4. ბექა მამაცაშვილი
5. ვლადიმერ ქანთარია
6. დოდო გაბუნია
7. აკაკი მალანია

ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა მამუკა ქარდავა – საკრებულოს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2024 წლის 24 მაისის N50-502414549 და 31 მაისის N50-50241523 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე);

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2024 წლის 30 მაისის N19/51241515-51 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების თაობაზე);

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე);

3. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსის გ. მამრიკიშვილის 2024 წლის 3 ივნისის N002746/18 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის“ განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50-502417626 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50-502417627 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე);

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2024 წლის 25 ივნისის N51-51241771 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ).

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე).

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე – 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის რ. ზაქარაიას 2024 წლის 24 მაისის N50-502414549 და 31 მაისის N50-50241523 წერილების განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ბ. მამაცაშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ინფრასტრუქტურისა და სივრცით - ტერიტორიული დაგეგმარების კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ბ. მამაცაშვილი - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებულ N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტის მერიაში შევიდა ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის საჭანიოს უბნის მოსახლეობის ერთობლივი განცხადება ტრაგიკულად დაღუპული ახალგაზრდა გოგონას ნინი კონჯარიას სახელის უკვდავყოფის მიზნით, მისი სახელის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N4 ქუჩისთვის მინიჭების თაობაზე. განცხადებაში ნათქვამია, რომ ნინი იყო გამორჩეული ახალგაზრდა, წარჩინებული მოსწავლე და ძალიან დიდი პერსპექტივისა და მომავლის მქონე გოგონა, ახასიათებენ როგორც ერთგულ მეგობარს, რომელსაც ძლიერ უყვარდა თავისი სოფელი და სამშობლო. გამომდინარე იქედან, რომ ნ. კონჯარიას გარდაცვალებიდან არ არის გასული 20 წელი, მერიის მხრიდან წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ძველი ხიბულის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე არსებული N4 ქუჩისთვის ნინი კონჯარიას

სახელის მინიჭების მიზანშეწონილობის თაობაზე“. საკრებულოში შემოსულ წერილზე კომისიის მიერ ჩატარდა საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვა, სადაც გამოკითხულთა სრულმა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა სახელდების საკითხს. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

2. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას 2024 წლის 30 მაისის N19/51241515-51 განცხადების განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების თაობაზე)

(მომხსენებელი: მ. თათარიშვილი - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო - საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე)

სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,- საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის არყოფნის გამო, განსახილველ საკითხს წარმოადგენდა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე (ლ. ლიპარტია)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მ. იოსავას განცხადება, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგ სხდომაზე მოხსენების გაკეთების თაობაზე.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ განცხადებასთან დაკავშირებით ხომ არ ექნებოდათ რაიმე სახის მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3. საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის თვითმართველი ერთეულების აუდიტის დეპარტამენტის უფროსის გ. მამრიკიშვილის 2024 წლის 3 ივნისის N002746/18 წერილის განხილვა (ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის თაობაზე)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიში, ხობის მუნიციპალიტეტის 2020 – 2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" განხორციელების ეფექტიანობის თაობაზე და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილ იქნა, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ 2024 წელს დამტკიცებული მუნიციპალიტეტების მიერ 2020-2022 წლებში „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის"განხორციელების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში, ანგარიშის თანახმად შედგენილი რეკომენდაციები გადმოეგზავნა საკრებულოებს საკრებულოს წევრებისთვის გასაცნობად, გაცემულია შემდეგი სახის რეკომენდაციები.

რეკომენდაცია №1. პროგრამის სათანადო დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების უზრუნველყოფისათვის, თითოეულმა მუნიციპალიტეტმა საკუთარი სპეციფიკიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე:

- სხვადასხვა დასახლებაში ინფრასტრუქტურის მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე, მიზანშეწონილია შეიმუშაოს დეტალური გეგმა, რომელშიც წარმოდგენილი იქნება მუნიციპალიტეტის ყველა დასახლების საჭიროება და მათი დაკმაყოფილების გზები;
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა მიზანშეწონილია ჩამოაყალიბოს როგორც მუნიციპალური ბიუჯეტის ნაწილი ან ცალკე დოკუმენტი, რომელშიც პროგრამის მახასიათებლები განისაზღვრება კონკრეტული პროექტების/დასახლებების მიხედვით;
- ნათლად, ზუსტად და კონკრეტულად განსაზღვროს პროგრამის მიზნები, რომლებიც თანხვედრაში იქნება ხელისუფლების ცენტრალურ დონეზე განსაზღვრულ პროგრამის მიზნებთან;
- განსაზღვროს პროგრამის მოსალოდნელი შედეგები და მათი შეფასების ინდიკატორები, რომლებიც იქნება კონკრეტული, გაზომვადი და მიღწევადი.

რეკომენდაცია №2. სოფლის მხარდაჭერის პროგრამის მიმდინარეობის პროცესში მოსახლეობის სათანადო ინფორმირებისა და მაღალი ჩართულობისათვის მუნიციპალიტეტებმა:

- უზრუნველყონ პროცესის სათანადოდ ორგანიზება და მერის ბრძანებებში სრულყოფილად ასახონ ინფორმაცია დაფინანსების ოდენობის, შეხვედრის დროის/ადგილისა და სხვა საკითხების შესახებ;
- კარგი პრაქტიკის გათვალისწინებით დანერგონ დამატებითი პროცედურები, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის სათანადოდ ინფორმირებას და აქტიურ ჩართულობას პროგრამის დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში. მაქსიმალურად გამოიყენონ ინფორმაციის გავრცელების სხვადასხვა პლატფორმა და რეგულარულად განაახლონ ინფორმაცია ვებგვერდებსა და სოციალურ ქსელებში;
- ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებთან ერთად იმსჯელონ არსებულ წესში ცვლილებების შეტანის შესაძლებლობების შესახებ, რათა მიეცეთ საშუალება, გამოიყენონ მოსახლეობასთან კომუნიკაციის ალტერნატიული საშუალებები, როგორებიცაა: შეხვედრაზე დისტანციურად დასწრება, კენჭისყრაში მონაწილეობა ელექტრონულად, მოსახლეობის აზრის კვლევა ვებგვერდის ან სოციალური ქსელების საშუალებით და სხვ.

რეკომენდაცია №3. პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების დროული დასრულების, სოფლის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებისა და არსებული ფინანსური რესურსების ეფექტიანი მართვისათვის მუნიციპალიტეტებმა:

- ინსტრუქციით დადგენილ ვადებში განახორციელონ პროექტების მომზადება, შესასრულებელი სამუშაოების/საქონლის შესყიდვა და სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დაგეგმილი სხვა ღონისძიებები. ამასთანავე, შესყიდვებიდან დარჩენილი ეკონომიები დროულად მიმართონ სხვა ინფრასტრუქტურული პროექტ(ებ)ის დასაფინანსებლად;
- პროგრამის განხორციელების თანამონაწილეობის პრინციპიდან და საჭიროებებიდან გამომდინარე, გაზარდონ მუნიციპალური ბიუჯეტიდან დაფინანსების წილი;
- აქტიურად ითანამშრომლონ როგორც ადგილობრივ, ისე უცხოურ/დონორ ორგანიზაციებთან, მოამზადონ პროექტები, წინადადებები და ინიციატივები, რათა ხელი შეუწყონ დამატებითი სახსრების მოზიდვას;
- ცენტრალურ ხელისუფლებასთან ერთად იმუშაონ დაფინანსების ოდენობის გადახედვის საკითხთან დაკავშირებით. გამომსვლელის განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინება ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტებს გააუმჯობესონ ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანობა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ ანგარიშთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი ანგარიში შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში

4. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50-502417626 წერილის განხილვა:

- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე;
- „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის თაობაზე

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტები, „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ და კომისიის დასკვნები წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა: 1) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მიმდინარე წლის მაისში მერიაში შევიდა შპს „მაგთიკომის“ წერილი, ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ხობის კულტურის სახლის (ს/კ 45.21.25.034) მეორე სართულზე 16,18 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართის სააპარატურო ოთახისთვის და შენობის სახურავზე მდებარე 1 კვ.მ ფართის

GSM სისტემის ანტენების განსათავსებლად პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე. ზემო აღნიშნულ ქონებას შპს „მაგთიკომი“ 2014 წლიდან სარგებლობს ქირავნობის უფლებით. გამომდინარე იქედან, რომ შპს კეთილსინდისიერად ასრულებს დღემდე ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, მერიის მხრიდან მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული წარმოდგენილი წინადადების დაკმაყოფილება და წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დამატებითი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, (იჯარის ფორმით) გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“, რომლის საფუძველზეც, აღნიშნული ფართი პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის უფლებით ორი წლის ვადით გადაეცემა შპს „მაგთიკომს“. 2) ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, მუნიციპალიტეტს საკუთრებაში ერიცხება სპეციალიზებული ავტომანქანა „ნაგავმზიდი“, IVECO EUROCA RGOML12OE22 მარკის, გამოშვებული 2023 წელს, რომელიც მუნიციპალიტეტის მხრიდან შესყიდულ იქნა 2024 წელს, სახელმწიფო ნომერი NT -548 NN, რომლის საბალანსო ღირებულება შეადგენს 344500 ლარს. მერიის წინადადებით აღნიშნული ავტომანქანა თხოვების ფორმით, არსებობის ვადით გადაეცემა შპს ,,ხობი დასუფთავება და განათებას“, რაზედაც წარმოდგენილ იქნა განკარგულების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის მერისთვის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით (თხოვების ფორმით) პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის შესახებ“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტები აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მათი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტებთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტები საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტები შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

5. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2024 წლის 24 ივნისის N50-502417627 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ვ. ქანთარია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ვ. ქანთარია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ ხობის მუნიციპალიტეტის მერიის განმარტებით, „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონში განხორციელებული ცვლილების თანახმად სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებზე გაიზარდა მოსაკრებლების ოდენობები, კერძოდ: სამორინის, სათამაშო აპარატების და ტოტალიზატორის თამაშობებზე. ზემო აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით მერიის მიერ წარმოდგენილ იქნა დადგენილების პროექტი „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი მოსაკრებლების შემოღებისა და მათი განაკვეთების დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 28 თებერვლის N8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი დადგენილების პროექტი აკმაყოფილებს საქართველოში მოქმედ კანონმდებლობას და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია მისი წარმოდგენილი სახით გატანა საკრებულოს სხდომაზე შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

6. ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარის ლ. ლიპარტიას 2024 წლის 25 ივნისის N51-51241771 განცხადების განხილვა („საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" განკარგულების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა ბიუროს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" და კომისიის დასკვნა წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით (ოქმს თან ერთვის) და აღნიშნა, რომ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის მიერ განხილულ იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გ. ქაჯაიას განცხადება საწვავის სახეობის ცვლილების თაობაზე, კერძოდ გ. ქაჯაია ითხოვდა საკრებულოს მიერ მისთვის უფლებამოსილების განსახორციელებლად გამოყოფილი 200 ლიტრი დიზელის შეცვლას ბენზინზე. კომისიის მიერ წარმოდგენილი წინადადების საფუძველზე მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული აღნიშნული მოთხოვნის დაკმაყოფილება. ამასთან საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხაში განხორციელებული ცვლილების თანახმად საშტატო ნუსხას დაემატა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება, ამ ეტაპზე კომისიის მიერ ლიმიტებში ასევე ასახულ იქნა განყოფილების უფროსისთვის 50 ლიტრი საწვავი ბენზინის სახით. ზემო აღნიშნულის გათვალისწინებით კომისიის მიერ მომზადდა განკარგულების პროექტი „საწვავისა და სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის №81 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე", რომელიც მომზადებულია საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გამომსვლელის განცხადებით, წარმოდგენილი განკარგულების პროექტი მომზადებულია კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია საკრებულოს სხდომაზე მისი გატანა შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ბიუროს წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ შენიშვნები და მოსაზრებები, მაგრამ ბიუროს წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

კენჭი ეყარა წინადადებას წარმოდგენილი პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7, წინააღმდეგი – 0

დაადგინეს: წარმოდგენილი განკარგულების პროექტი შეტანილ იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის შემდეგ ბიუროს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე მამუკა ქარდავა